საქართველოს მთავრობის

დადგენილება №68

2020 წლის 31 იანვარი

ქ. თბილისი

„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს №389 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს №389 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/08/2019, 010110020.10.003.021410) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს, „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს №389 დადგენილების ამოქმედებამდე, „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ღონისძიებების/ვალდებულებების განხორციელება დუშეთის მუნიციპალიტეტის უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში ასაშენებელ რძის გადამამუშავებელ საწარმოსთან დაკავშირებით.“.

2. მე-4 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 მუხლი:

„**მუხლი 4^1.** სააგენტოს სარგებლობაში გადაეცემა დანართ №1-ით გათვალისწინებული ქონება.“.

3. დადგენილებას დაემატოს თანდართული შინაარსის დანართი №1.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი №1

№	რძის გადამამუშავებელი საწარმო – უკანა ფშავი, სოფ. შუაფხო				
	სულ რძის გადამამუშვებელი საწარმო	ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)	საკადასტრო კოდი
					71.67.01.141;

1	მიწა	კვ.მ	4500	23670	71.67.01.240
2	შენობა	კვ.მ	258.89	662726.63	71.67.01.141
	აღჭურვილობა				
3	ყველის გადასატანი ურიკა	ცალი	1	3060	
4	ურიკა პალეტებისათვის	ცალი	1	1320	
5	რძის ანალიზატორი	ცალი	2	2000	
6	PH მეტრი	ცალი	1	2500	
7	სამუშაო მაგიდა 2000*800*850	ცალი	2	3350	
8	რძის გადამამუშავებელი საწარმოს ძირითადი აღჭურვილობები	კომპლექტი	1	411250	
მ.შ.	დამბალხაჭოს დერგები (25 ლიტ)	ცალი	80	10500	
	ყველის ფორმები (უჟანგავი ლითონის) ქართული ყველი	ცალი	30	1300	
	ყველის ფორმები (უჟანგავი ლითონის) ევროპული გაუდა	ცალი	10	600	
	დასაყოვნებელი ავზები (2200*900*1000მმ)	ცალი	3	14150	
	ნაღების მოსამწიფებელი აბაზანა შემრევით (300 ლიტრი)	ცალი	1	9500	
	გამაციებელი რეზერვუარი (1000 ლიტ)	ცალი	1	15000	
	ელექტროსასწორი (500 ლიტრი)	ცალი	1	5300	
	რძის ფილტრი	ცალი	1	2150	
	ყველის სახარში აბაზანა ორთქლის გაცხელებით (500 ლიტრი)	ცალი	1	16000	
	შრატის ავზი ორთქლის გაცხელებით (500 ლიტრი)	ცალი	1	26000	
	საწნეხი ურიკა 2 სექციით (500 ლიტრი)	ცალი	1	6250	
	კარაქის მექანიკური დამუშავების (ფორმირების) დანადგარი	ცალი	1	9300	
	მაცივარი 0; -18 (კონტეინერი 500 ლიტრი)	ცალი	1	3750	
	რძის ტუმბო თვითშემწოვით (2000 ლ/სთ)	ცალი	1	6450	
	რძის ტუმბო (3000 ლ/სთ)	ცალი	3	5150	
	კარაქის სადღვები (200 კგ)	ცალი	1	13850	
	სასწორი – (200 კგ)	ცალი	1	1680	
	სასწორი ეტიკეტირების ფუნქციით (15 კგ)	ცალი	1	4700	
	ცხელი წყლით რეცხვის ავტომატი	ცალი	1	6150	
	ხანგრძლივი პასტერიზების აბაზანა შემრევით ხაჭოსთვის (500 ლიტრი)	ცალი	1	26280	
	სეპარატორი ნაღების მოსახდელი (1000 ლ/სთ)	ცალი	1	29200	
	ყველის დასაყოვნებელი თაროები 5-იარუსიანი, 1 იარუსი: 1000*750				

	მმ ხის	ცალი	15	61750	
	ყველის დასაყოვნებელი თაროები 5-იარუსიანი, 1 იარუსი: 1000*750 მმ მეტალის	ცალი	10	41250	
	ორთქლის წარმომქმნელი დანადგარი (150 კგ/სთ)	ცალი	1	84770	
	პოლიეთილენის აპკში შესაფუთი დანადგარი	ცალი	1	1320	
	რძის გადამამუშავებელი დანადგარების შემაერთებელი მაგისტრალური ხაზი – სამრეწველო არმატურა (მილები; ონკანი; სწრაფჩამხსნელი; მუხლი; გადამყვანი; გამანაწილებელი).	კომპლექტი	1	8900	
9	მაგიდა პერსონალის	ცალი	2	500	
10	ტუმბო პერსონალის	ცალი	2	390	
11	ბაინდერის კარადა	ცალი	2	600	
12	სკამი	ცალი	10	500	
	სულ ჯამი:			1,111,866.63	